ეროვნული ბიბლიოთეკა

სასოფლო გაზეთი

გ ა ზ ე თ ი ს ფ ა ს ი:

გაგზავნით თფილისში	გაუგზავნელათ:
ს გარეშე ადგილებში:	
ერთი წლისა — 4 მ.	— 3 მ. —
ახევარი წლისა—3 —	— 2 მ. —
ამი თვისა —1 მ.	— 1 მ. —

მესუთე წელიწადი

გ ა მ ო დ ი ს თ ვ ე ში ო რ ჯ ე რ

ხ ე ლ ი ს მ ო წ ე რ ა მ ი ი ღ ე ბ ა:

თფილისს «სასოფლო გაზეთის» რედაქციის კანტორაში, გ. წერეთლის და ამბ. (დუბელირის სტამბაში, ხახის ქუჩა), ბებუთოვის სახლებში.

თფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ контору редакціи СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ: при типографіи Г Церетели и к°. (Дубелира).*

№ 24 შაბათი | ٢ | 39 დეკემბერს, 1872 წ.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

«სასოფლო გაზეთის» გამოცემაზე

1873 წელს

მომავალს წელს «სასოფლო გაზეთი» გამოვა იმავე პროგრამით და რედაქცია ეცდება ასულ წლებზე უკეთ ასრულოს თავის მოვალეობა.

ხელის მოწერა «სასოფლო გაზეთზე» შეიძლება:

ტფილისში «სასოფლო გაზეთის» რედაქციის კანტორაში გ. წერეთლის და კომპ. სტამბაში, ბებუთოვის სახლში ხანის ქუჩაზე.

ქ უ თ ა ი ს შ ი—გერასიმე კალანდარისშვილთან (სასულიერო სასწავლებელში) და ნიკოლაძის სახლებში სილაზე.

ტფილისსა და ქუთაისს გარეშე მცხოვრებთა შემდეგი აღრესით შეუძლიანთ დაიბარონ გაზეთი: *Въ Тифлисъ, въ контору редакціи «Сельской Газеты,» на Ханской улицѣ. Бебутова.*

ხ ე ლ მ ო ს წ ე რ ი თ ვ ს ი:

ერთი წლისა თფილისში და აგრეთვე სხვა ადგილებში	გაუგზავნელათ.	გაგზავნით.
— — — — — — — — — —	3 მან. —	— 4 მან.
ახევარის წლისა — — — — — — — — —	1 მ. 50 კ.	2 მ.

ხელის მომწერლებს უმორჩილესათ ვსთხოვთ, თუ დაიბარებენ, გარკვევით შემოგვიტანონ თვისი სახელიგვარი და ადგილ-სამყოფი.

ქ. ზარეცის სახ. ხელ. სსრ სახელმწიფო რესპუბლიკა ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი:

განცხადება სასოფლო გაზეთის გამოცემაზე 1873 წელსა. ჩვენი საეკურნეო მდგომარეობა. ხამეურნეო ცხოველი ხამეურნეო გინიდვა. ხამეგრელოს მოსავლის შესახებ, (განგრძელება). წვრილი ამბები. ხამეცნიერო ნაწილი. ბოლკანი.—გლეხებისთვის საჭირო რამ ეკონომიაში. განცხადებანი.

ჩ ვ ე ნ ი მ ე უ რ ნ ე ო ბ ი ს მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა.

რასში მდგომარეობს მეურნეობის დამაბრკოლებელი მიზეზები? მომეტებული ნაწილი მიწის მეპატრონეებისა მიწის მუშაობის და საზოგადოთ მეურნეობის ცუდს მდგომარეობას აბრალებს, გზების უქონლობას და ფულის არაობას. ამისგამო არც საუკეთესო იარაღები აქვთ და არც ნამუშევერი ფასობს. ერთი სიტყვით მიწის გაუმჯობესობის დამაბრკოლებელი მიზეზები ახლაც ის არის, რაც ორმოცდა ათი წლის წინათ ევროპაში იყო, განსაკუთრებით გერმანიაში.

იმას რა დიდი ლაპარაკი უნდა, რომ საცა გზები არ ეარგა, მამულის მეპატრონეს ძალიან უძნელდება თავის თავის ნამუშევარის მიტანა საეჭრო ალაგას. ამისგამო ოლონდ შინ

-
ი‌შოვნოს ვაჭარი, თორემ ღირებულის მესა
მედათაც რომ გაჰყიდოს, მაინც არ ინაღვ
ლებს. მაშ გზების უქონელობის გამო ნამუ
შევარს ძალაუნებურათ ცოტა ფასი აქვს, რო
ცა მიწის მეპატრონე საუკეთესო მიწის სამუ
შაო იარაღები აქვს და კარგი გზებიც აქვს
დაკეთებული, მაშინ მოსავალიც ბევრი აქვს,
მიწის მეპატრონეს ქალაქში გატანაც არა
ფრათ უჯდება და ამისგამო შეუძლიან კი
დეც მოითმინოს, თუ თავის გულის ვაჭარი
არ შეხვდა. იმას მაშინ იმდენი გაჭირება არ
ადგია, რომ უფასოთ მისცეს მოვაჭრეს თა
ვი‌ა ჭირნახული. ამისგამო საუკეთესო გზებს
და საუკეთესო სამუშაო იარაღების მოპოებას
ნამუშევრის ფასის მომატებაც მ‌ოსდევს. ევ
როპაში და განსაკუთრებით გერმანიაში კი
დევ რას შვრებიან, საცა ცუდი სოფლის გზე
ბია? ისინი თვითონ თავიანთ მაჟულებში
შეიკრიბნენ მთელი სოფლის მცხოვრები და
ერთად აკეთებენ რაიმე ქარხანას, ან ოტკის
სახდელს, ან შაქრის საკეთებელს და ან ეროო
ბის ქარხანას. რაც რომ მომეტებული ნამუ
შევარი აქეთ ან მეურნეობის ნაყოფი, სულ
ამ ქარხნებში გადაკეთებენ და მერე უფრო
რიგიან ფასს ღებენ. მაშინ თვითონ საქო
ნელსაც უფრო ბევრს აშენებენ, რადგან
ქარხნების ნახადი და ჩენ‌ჩო ბევრი რჩებათ
საქონლის კარგ საკეთებათ. მერე თვითონ სა
ქონელის გაყვანაც საკვაჭრო ქალაქში და იმის
გასაღებაც რიგიან ფასათ ადვილია.

საქართველოში კი როგორც მეურნეობის
ნაწარმოები, ნამუშევარი და საქონლის გა
მოსავალი უფრო ძვირია, ვინემც ევროპაში.
ამ შემთხვევაში ყველაზე უფრო დიდი დაბრ
კოლება საქართველოს მეურნეობისათვის არის
უფულობა. რა უშველის ამ დაბრკოლებას
და გაჭირებას? მაგალითად, როგორც გერმა
ნიაში იციან ორი ან სამი მდიდარი მიწის
მეპატრონე რომ შეერთდებოდენ და გაკეთ
ებდენ რამე ქარხანას, სხვანი რომელთაც
ფული არა აქეთ, ნამუშევარს და ყოველ
გვარ მეურნეობის ნაწარმოებს მიიტანდენ და
საზოგადო სარგებლობაში თავის მიტანილ
ნამუშევრის შესაფერს სარგებლობასაც მიი
ღებდენ, ამ სახით აღებ-მიცემობა და მიწის
მეპატრონეების სარგებლობა ერთიანად გა
დიდდებოდა. საზოგადო ქარხნების გამარ
თვისა არ იყოს, უფრო ფულიანებს შეეძლოთ
მოეპოებინათ საუკეთესო მიწის სამუშაო
იარაღები და მერე შეეძლო სხვებს ეხმარა
ქირით. აქედგანაც ორიე მხარეს დიდი სარ
გებლობა მიეცემოდა. მაგრამ რასაკვირველია
ყველას ემჯობინებოდა ისეთი საერთო საქმის
ან ხაზინის გამართვა, საიდგანაც ცოტა სარ
გებლით შესძლებოდა ყოველს მიწის მუშას
დაჭირებაზე ფული ესესხნა და ამნაირათ ეხა
დნათ ის აუარებელი ვალები, რომლებითაც
დატვირთულია ჩვენი მამულები. ბევრია ჩვენ
ში ისეთი მემამულე, რომ ძალიან ბევრი მი
წა და ტყე აქვს. საზოგადოთ რომ ამ მიწის
და ტყის ბანკში დაგირავება მოხდეს და თვი
თონ ბანკიც გაიხსნას, მაშინ რასაკვირველია
საერთო მამულების მეპატრონეებს შეეძლოთ
თავის მამულებამდის როგორმე გზის გაკეთ
ება და ამ მამულების დაყიდვა. ახლა საერთო
მამულები დგანან ისე ხელუხლელათ. შემო
სავალი იმათგან არა არისრა. მაშინ თუ კი
გზებს აკეთებდენ და მიდგომა შესაძლებელი
იქნებოდა, მიწებს დაიყიდდენ საერთო მფლო
ბელები და მარტო ეს მოქმედება ერთი სა
მათ გაადიდებდა ჩვენი ქვეყნის მემამულეების
შემოსავალს. მაგრამ იმისთანა ბანკზე, რომ
იქიდგან საკმაო სესხის აღება შესაძლებელი
იყოს ყოველ მამულის მეპატრონისაგან, რა
საკვირველია თვითონ მემამულეებმა უნდა
გამართონ თავიანთ თაოსნობით ბანკი, სა
ზოგადო სესხის ხანგძლივი ბანკი; მხოლოდ
ამ შემთხვევაში წავა საქმე კარგათ.

ვორონცოვმა რომ ნახა, საქართველოს მი
წის მეპატრონეებს ფული უჭირთ, გამართა
საზოგადო მზრუნველობის პრიკაზი, საიდგა
ნაც შესძლებიათ ყველას ფულის აღება.
რასაკვირველია ყველამ უცბათ დაიტაცა აქე
დგან ფულები, მაგრამ შემოტანით კი ცო
ტამ, ისიც ჭაპანწყვეტით, შემოიტანა. მამუ
ლების გაუმჯობესობის მაგიერათ ფულები
დახარჯეს განცხრომაში და ამისთანა სესხ
ბამ ფულის უჩენ თავად-აზნაურობას სა
გებლობის მაგიერათ დიდი ზარალი მისცა
მხოლოთ ვაჭრობამ მოიხმარა კარგათ
სესხი და კიდეც კარგათ გამოიყენა სა
მეში.

ბატონყმობის განთავისუფლების შემდ
რაკი მეპატონეებს მუქთი მუშა ჩამოეცალ
იფიქრეს საზოგადო ბანკის გამართვა. იმ
გადასდვეს ერთი ნაწილი საგლეხო ფული
და იქიდგან შედგენილი თავი თავად-აზნა
რობის ბანკის საფუძვლათ უნდა ყოფილიყ
ამას გარდა რაც ბანკიდგან სარგებელი შე
ვიდოდა, ის უნდა გადარჩენილიყო და მოხ
რებოდა სამეურნეო სასწავლებელის გამ
თვეს და საზოგადოთ მეურნეობის ცოდ
გაბნეულს ჩვენს ხალხში. ამისთანა ბანკის წ
დება შესდგა დიმიტრი ყიფიანის თაოსნობი
ამ წესდებაში იყო მოხსენებული სხვათა შ
რის, რომ გლეხებსაც შესძლებოდა თავ
აზნაურობის ბანკიდგან სესხის გამოტანა
რადგან იმათ იქ არ ჰქონდათ თავისი ფუ
შეტანილი, იმათ თავის სარგებელი ო
პროცენტი მეტი უნდა ეხადნათ თავად-აზნ
რებზე და აქედგან იმათთვისაც უნდა შემ
რიყო მისი თავი და ისინიც გამხდარიყ
მონაწილენი. მეპატონეებმა რომ გაიგეს
წესდების აზრი, ზოგიერთებმა მაშინვე შე
ნეს თავის ხვედრი წილი და ამ რიგათ შ
დგა ოთხმოცი ათასი მანეთი. დანარჩენებ
ან უნდა შემოეტანათ 270 ათასი მანეთი
ან უნდა ჩაერიცხათ ეს შემოსატანი ფუ
გატანილ ვალათ. შემდეგ მთავრობამაც ნ
დართო ას სამოცი ათასი მანეთი საგლ
ფულის ნარჩენი გადაეცათ თავად-აზნაურ
ბის ბანკისთვის, თუ რომ ის გაიხსნებო
ამ სახით ბანკი მაშინ რომ გახსნილიყო,
ჭველათ ძირი თავენი ექნებოდა ნახევარი
ლიონი ფული; მაგრამ ამ ბანკის წესდ
რაღაც დაბრკოლებანი აუტყდა და ამ‌ამ
არ დამტკიცებულა. წარსულს წელს კი
ემბრის თვეში იყო ხელ ახლავე თავად-ა
ურობის ყრილობა, სადაც საბოლოოთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

აწყდა სააზნაურო ბანკის საქმე, წესდება ქ(?)ელდგა და მთავრობას წარუდგინეს კიდეც ასამტკიცებელათ. იმედია, რომ იმის დამტკიცებას წინ აღარა დაუდგება რა. მიუცილებლათ ეს ბანკი შეძლებულს თავად აზნაურობას ძალიან გაუმართავს ხელს და მალე წინ ასწევს იმათს საზოგადო მეურნეობის საქმეს.

ვრილ გლეხობასა თავის შეერთებული მოღვაწეობით საქმის დაწყება, მაგალითად ამხანაგობით ფულის გამოღება და საამხანაგო სოფლო ბანკების გამართვა იმათშიაც ფულს აატრიალებდა. ამასგარდა როგორც ჩრდილოეთის რუსეთში იყო, თითო ძროხა ოთხ მანეთის მეტს არ იძლეოდა სარგებელს, მერე როცა ამხანაგობით ყველის კეთება დაიწყეს, გამოჩნდა, რომ ძროხა ორმოც მანეთს იძლევა. შვეიცარიაში ხუთას ოცდა ხუთი ათასი ქიანი მეწველე საქონელი, რომელიც ამხანაგობით ყველის კეთების გამო იღებს წელიწადში ოცდახუთ მილიონ მანეთსა. მარტო ერთი საოჯახო საქმიდგან, აი რამდენი შემოსავალი აქვს შვეიცარიას.

ამხანაგობით ყველის კეთების გარდა, საქართველოში სხვაც ბევრნაირი წარმოების ამხანაგობა შეიძლებოდა გამართულიყო, მაგალითად არაყის ხდა სხვა და სხვა გარეულ ნაყოფიერებისაგან და ღვინისგან, ყოველივე ამნაირ საერთო მოქმედებით ჩვენი გაჭირებული და უნუგეშო მდგომარეობაში ჩავარდნილი ოჯახობის საქმე ერთბაშათ წამოიყრიდა ხელს და საზოგადო კეთილ-მდგომარეობის საქმეც ჩვენი ქვეყნისა გაკვერულს გზას დაადგებოდა...

სამეურნეო ცნობები

ამ უკანასკნელს წლებში იტალიის მთავრობა ცდილობს თავის ქვეყნის ალებ-მიცემობის და მეურნეობის ცოდნის გავრცელებასა.

ამ ორი წლის წინათ იტალიაში ყოველგან ისმოდა ხმა, რომ ძალიან საჭირო ღვინის დაყენების გაუმჯობესობა და თვითონ ვენახების მუშაობაც უნდა გაუკეთესდესო.

ასე გულს მოდგინებით აბრეშუმის მოყვანა, როგორც ამ ჟამათ არის, ჯერ იტალიაში არ ყოფილაო. სოფლის ხალხი თანდათან უფრო ავსებს რქიან საქონელს ოჯახობაში და მრავლდება კიდეც; ამისგამო სამეურნეო მოხელობა წარმატებას მიეცა. მივხდნენ კიდეც, რომ ახალგაზდობის სწავლებამდის ხურით მომღვრები და კარგი მწურთნელი ხელოსნები უნდა გავამრავლოთ ამ ჩვენს ქვეყანაშიო. ამის შემდეგ შაგირდებიც კარგები გამოვლენო. მარტო მოხელობისა და ალებმიცემობის ცოდნა, თუ ამასთანავე მეცნიერებით გონება არ უვარჯიშნია, არას გამოადგება კაცსაო. მაგრამ როგორც კარგი მეომარი და მხნე ჯარი არ ვარგა, თუ მოთავე კარგი არა ჰყამსო, ისე კარგი გულს-მოდგინე მიწის მუშა ხალხიც ბევრს ვერასა იქს, თუ მცოდნე და მეურნეობაში გამოცდილი საქმის კაცები არ იქნებიან მოთავედ. ამისთვის მთავრობამ ყურადღება უნდა მიაქციოს დიდი მამულის მეპატრონეებს და უნდა შეაგონოს, რომ იმათ იკისრონ გონიერი და მეცნიერული შეხედულობით თავიანთ მამულების მოვლა და ვისაც აქირევებენ, იმათი რიგიანი ყურის გდება, რომ არ წაახდენინონ, ან არა გაალარიბებინონ თავიანთი მამული. მაშასადამე მეურნეობისათვის ყველაზე უფრო სასარგებლო იქნება დიდი მამულებიანი ახალგაზდობის მეურნეობაში გამოზდა. სამწუხაროდ ეს ახალგაზდობა უნივერსიტეტში და ლიცეებში ასრულებს კურს, მეურნოებისა არა იცის რა და კიდეც ეთაკილება მიწის პატრონობის შესწავლა მეცნიერულად, რადგან იცის, რომ საზოგადოებაში ამ ხელობას პატივისცემა არა აქვს. მაშასადამე მეურნეობისა და ოჯახობის გაუმჯობესობისათვის მთავრობამ უნდა ეცადოს ზემოხსენებული მდიდარ მამულებიანი ახალგაზდობა გაწვრთნას მეურნეობის და ოჯახობის სწავლაში.

ამ აზრით მილანის ქალაქმა მოიკრიბა ძალა და სთხოვა მთავრობას ნებართვა უმაღლესი სამეურნეო სასწავლებლის გამართვისათვის. ამ აზრით ქალაქმა ერთბაშათ შესწირა ორიათას ორას ორმოცდა ათი მანეთი და ხუთი ათასი მანეთი ყოველ წელს. მეურნეობის სამინისტრომ შესწირა ამ საქმეზე ერთბაშათ ოცი ათას მანეთამდის და ყოველ წლობით ოცდა ოთხ ათასმანეთადის. ამასგარდა ქალაქმა ამ სასწავლებელს დაუთმო წმინდა ლუკას მშვენიერი სასახლე. ამასთანავე სამინისტრომ გამართა სამეურნეო ადგილ-სადგომები და იარაღების საწყობები, რომ მუშაობაში გამოსცადოს ეს საუკეთესო იარაღები და რომელიც მოეწონება ის იყიდოს სამუშაოთ.

ეს სასწავლებელი გახსნილია 1871 წლის 1-ს იანვარს. იქ შესასვლელათ მოწაფეს უნდა ჰქონდესო მოწმობა, რომ იმას დაუსრულებია კურსი ერთს რომელსამე შუათანა სამოხელო, სამეურნეო, ან ალებმიცემობის შკოლაში; თუ ეს არ იქნა, მაშინ ეგზამენი უნდა დაიჭიროო და ამ გამოცდაში უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელს შაგირდს მოსთხოვენ იმდენს სწავლას, რამდენიც კანონით არის დადებული.

სამეურნეო განხილვა სამეგრელოს მოსავლის შესახებ.

(«დროებიდგან» კორრესპონდენცია)

(გაგრძელება)

გარდა ამ საწყენის მხრისა, უფრო ლია და საამო მხარეც აქვს ამისთანა კაცის შეკრებას. აქ ბევრს გაიგებს კაცი ქვეყნისას და ნახავს საზოგადოების შესადარებელ ჲდეებს და კერძო პირების მაჩვენებლობითს და ნამდვილს გრძნობას, სურვილს, დრტვინვას და მსჯელობას. შეხვდომით მოსული კაცი ხალხის შეხედვით სრულიად ვერ იფიქრებს აქ ლხინია, ალაპია, თუ ქალაქობა: ის ნახავს ჯგუფ-ჯგუფად მდგომს, მჯდომს, ან მოსიარულე კაცებს, რომელნიც ხშირად ბჭითსა და უხუმარს ლაპარაკში არიან უთუოდ რასმე საერთო საქმეზე და ამას თავისებურად,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორად და მრუდად არჩევენ. მაგრამ ამაში რაღაცა დროებისაგან მოდებებული საჭიროების ზრდენა ცხადათ გამოჰსჩანს, რომელიც ატრიალეს ხალხის ჭკუასა და აზრს აქეთ და იქით, და ხან სულ ერთმანეთის უცხოს და წინააღმდეგ ერთი მეორეს შეახლის. აი, მაგალითად, ერთს ამ გვარ კრებათა-განში ერთის ზემო-ნათქვამი ჯგუფისათვის კაცს რომ ყური მიეგდო, თუ რას ნახავდა და რას გაიგონებდა გულში ჩასარჩენს.

მინდორში სკამ-ლოგინებზე და ან ნაჯირკლებზე, თუ მოლზე მსხდომს რამოდენიმე სხვა და სხვა ხნის, ჰაზრის და წოდების კაცებში ერთი საპატიო ხნის, წვერ-მოპარსული და ულვაშ-შეღებილი, თავ-მოტატვლებული ბატონი აგდებით და თან წყენითაც ეცილება მისს პირდაპირ მჯდომს წვერ-მოშვებულს, მაღალ-ჩექმებიანს, ევროპიულად ჩაცმულ ყმაწვილ კაცს:

— კაი, მამაშენი ნუ წაგიწყდება! ნეტაი ჩვენ, რამდენი მტკაველი ადგილი გვაქვს, თუ იმისთვისაც ფული ეიხადეთ.

— კი, მაგრამ, როცა ბევრს მოგცემს ის ადგილი, მაშინ ცოტას გადახდა არ შეგეზარებათ; ახლა კი, ოლონდაც ვერას მისცემთ ქვეყანას, რაკი თვითონაც არა შემოგიდისთარა თქვენი მდიდარი ადგილებიდამ, ამიტომ რომ თავიდამ და ყელიდამ შურის და ლაძღვის მეტი არა გამოგიდისთ რა.

—თქვენ კი თქვენი თავით ძალიან ბევრი კეთილი შემოიღეთ და კიდევაც დაგვაჩინეთ. ქვეყანა დაატყავეთ ადვოკატებმა და ქურდობა და მოხდომა ისე გაამრავლეთ და გაქეზეთ, რომ ღამე შიშით აღარ მძინავს. ვინმე ჩემი ცოდვით საცხე არ შემოვარდეს, მეც სული არ გამაცხებინოს, და საცხოვრებლისგანაც არ გამცალოს მეთქი. რას იზამ? თუ ვერ შეუტყვე, ხომ დაიკარგა და თუ შეუტყვე, ან მოგკლავს, ან არა და რისი ეშინია: მიეგიღაც ენა-ოხერ ადვოკატთან და ის «აშოროს» ათქმევინებს; შენ ოცდა ოთხ მოწამეს სად იშოვნი და ამით ზე გადაავლებს თავზე; თუ ასე ვერა დამტკიცდა, მაინც რას შეუხვალ? იმოდენს იტანჯება, იმოდენს ახვევს ხუთმეტ კლასში გამოწერთნილსა და გამოჩაღხულ ენას, ეს ასეო, ეს ისეო, ეს ამიტომაო, ეს გაბრიკეებაო, ეს შეცდომაო, ეს უსწავლელობაო, ეს გაუზრდელობაო, ეს მცირე წლოვანებაო—ერთი რაღაც კი იქნება, აბა ისე რავა იქნება?—და ამ მიდებ-მოდებით ში გამოაძრევენს მართალსაკით და შეარჩენს ნაეკაცევს; მერე რასაკვირველია, უარესს იზამს, ეს არის თქვენი სამართლის ნეფობა და თქვენი კაი დრო! მართალს არ ვამბობ, თუ ლმერთი გწამთ? მიუბრუნდა ხვევს ამ კითხვით, თავის ლაპარაკისაგან გახარებული და თავ-მაღლა-აღებით გარემო მყურები მოხუცი.

— მართალს, მართალს! მიაგებეს ზოგიერთებმა.

— არა, ჩემო ბატონო! დაიწყო ისევ პიჯაკიანმა. თქვენ ერთი რომ დაეიწყებული გაქესთ უწინდელი ავ კაცობები და შესადარად ახლანდელისათვის ხსოვნაში არ მოგყვებათ-რა, მეორე—თქვენ არა გაქესთ გაგებული კარგად არც ადვოკატების ლაპარაკი და არც ის, რომ ოცდა ოთხი, თუ თორმეტი მოწამისაგან ქურდის ქურდობაში შესწრება მოგონილია და არა კანონის მოთხოვნილება, და მესამე, ვინც დამნაშაეი, იმას კანონის მოხდისაგან ვერაფერი სიტვის ღელარბნა ვერ იპატიებს და კიდევაც, ყველამ იცით, ამ ორ-სამ წელიწადში რამდენს უბედურის შეილებს გაუსაჯეს ციმბირისკენ. მაგრამ ჩვენ ამაზე სულაც არაფერს ელაპარაკობდით, მხოლოდ თქვენ გადმოკარით აქეთ, პირდაპირ ჩემთვის, და ასე უგანჩენოდ მოიმოწმეთ რომელიმე ამ კრებისაგან. მე თქვენ არ გელაპარაკებით თქვენზე და ნურც თქვენ ეკამათებით ჩემს პიროვნებას და ხელობას. ეს მარტო ერთმანეთის საწყენი ქიშპობა იქნება, რომელიც არ ეკადრება პატიოსანი კაცების ლაპარაკს. თქვენ ეს მიბრძანეთ: ყველას სიკეთე თვითოეულისათვისაც ხომ, რასაკვირველია, კარგი იქმნება და ამის შეწევნა, ხელის შეწყობა კეთილ-შობილის და მამულის კარგის მდნომი კაცისაგან მოსაწონი და საქმნელია, თუ არა?

— თქვენი ლაპარაკი, დედაჩემი არ წამიწყდეს, ისე არ მესმოდეს, როგორც არაბული. რა სიკეთეს ამბობ, მე ვერ მიხვდი, მე სულ სიცუდეს ვხედავ და ხელ-ეიწროობას, თვარა სიკეთე არაფერი შამოსულა ჯერ და აწიც რა შემოიყვანს თქვენს გადამკიდე ქვეყანაში, არ ვიცი!

— მე ისევ იმას ვამბობ, რასაც მოგახსენებდით და თქვენ სხვას გადაყვეთ: საზოგადოდ ქვეყ....

— ჰეიი! სხვას გადაყვეი კი არა და მართალი რომ გითხარი, გეწყინა და ის იყო! გაგდებინა სიტყვა წამოფეთქილმა ბერი-კაცმა და გაგულისებულად დაუწყო გრეხა და კრაწნა თავის ინით-ფერ-ოვან ულვაშებს.

ამ დროს ამ ჯგუფში შემოვიდა ერთი შუახნის და ტანის, მარჯვე და ლამაზი შეხედულობის, თავ-ყაპალახიანი და ფეხ-წულიანი კაცი და წყნარის, სანდომიანის ხმით, მაგრამ გაჭირვებულის ჩორიკით, უთხრა პიჯაკიანს:

— პატონო, თქვენ ათფუკანტი არ ბზანდებით?

— მერე, საქმე რამე გაქვს ჩემთან?

— იახა, ქარიღადები მაქს ჩემი ნაპატონიშ მოცემული. არდგილი მოპყიდა უწინ და ახლა ვარია თქვა; დუუნტაცებელი წოგნი არისო და მინწას ჩამუართმეო. მე მირონ სუდში ვეჩილე, ასე-ასე იყო, მეთქი, უთხარ იმან ქარიღადს დახედა, ბრეული იკითხა კ ლონეფი და ბოლოს მითხრა, მირონ პოსლედნიკის საქმეაო. იმასთან მიეედი „მე მომეცეო და გილეხების პირსუსტიაში წ რივადგენო», მარა მე ვერ გავბედე. ახლ თქვენ გეხვეწებით, რავა ჯობია და რა არა, მიბზანოთ და დამასტაულოთ და წორეთ რაც შემირძლია, თუ არ მოვეტი, ბენსახ რებითი. უსტაულური გრამატაში ჩამინწ და გობია მე მონცა.....

— კარგი, ახლავე, ცოტა მოითმინე და მერე ცალკე ვნახავ შენ ქალალდებსაც და კიდეც მაშინ მოვილაპარაკებთ. დაჰპირდა ადვოკატი, რომელსაც პირზე ღიმილი მოსდიოდა.

— აი, ეგ არის თქვენი საქმე, წამოიძახა უგემურად გაცინებულმა მოხუცმა, — აგრე აბრიყვეთ და ატყავეთ გლეხ-კაცები! შენ, ჩემო ძამია! ტყუილა ნურაფერს დაჰკარგავ, ვერას მოიგებ: ადგილი სულ ბატონის არის, ბატონის! ის კი, სჯობდა მამაცხონებულს, ქართული არ დაეხარჯა, ასე თუ უჭირდა! — ჩაილაპარაკა თავისთვის დაცინებით ძველმა ბატონმა.

— შენოდენი სხვისი ნაცოდვარი თეთრი და საქონელი რომ მეშონებოდეს, ქართულს კი არა, ფრანიცულს და ლემენცურს კი ვისტავლიდი, შენ მომიკვტე! ისხარტა გლეხმა და უცებ გაძვრა სადღაც.

— ოოოჰ! ეს არი ახლა კარგი? დაიყვირა გლეხზე და მის მოსარჩლეზე, ორივეზე გამწყრალმა მოხუცმა და ავის თვალით შეხედა წყნარად მჯდომარე და მღიმარე ადვოკატს.

— რას ერჩით საწყალს, რას ეცინით და ახელებთ, რომ თქვენსავით ვერ ლაპარაკობს მიტომ, და თავის საკუთრებას რომ ეძებს მიტომ კიდე? . . . . იმას დავეხსნათ, ჩვენ ჩვენსას ნუ დავივიწყებთ. მე რას მოგახსენებდით: საზოგადოთ ქვეყნის სარგო საქმისათვის, თუ თავის მშობელი და გამზრდელი ქვეყანა გიყვარსთ, უკან ხელი არ უნდა გიდგებოდესთ და ძუნწი არ უნდა იყოთ, რომ თქვენისავე მარჩენელი ქვეყნის საბედნიეროდ არაფერი გემეტებოდესთ, ეს იმისთანა უსჯულო დანაშაული იქმნება, როგორც ის, რომ შვილს მშობლის რჩენა არაფერ თავის ვალად არ მიაჩნდეს და ან დედ-მამას შვილის საპატრონოდ არაფერი ელევინებოდეს....

— ეეე, შენ ჩემო თავო! წამოიძახა მოხუცმა და თან წამოვარდა გულზე-შემხტარი — შენ, ჩემო ენა-წასულო ბრძენო, ნამეტანს შვრები: შენ რა ხელი გაქვს ჩემი შვილების პატრონობის წამოსაკრავად? ის რა შენი საკითხავი და გამოსაკიდია, მე ძუნწი ვარ, თუ შვილებს არ ვჭირისუფლობ, თუ რასაც ჩემს სახლში ვშვრები?! ურჯულო და უმღთო ასე უნდა, რომ მარხვა და ხსნილი არ იცი და საყდარში კაცი ვერ დაგიჩვენიებს, თვარა მე ღმერთიც მწამს და რჯულიც მტკიცედ მიჭირავს....მაგრამ ამისთანა თავ-გასულს გუშინდელ ბოშვებს რომ ხმას გამოსცემ ასე დაგემართება, — ყოლის-ფერს გამოგიმხელენ და გამოგასალორებენ ქვეყანაზე....ან კი რა იციან, ოღონდ არ გატყდებიან თვარა: აი, ერთმა იმისთანამ, სწავლით გამოსულელებულმა ჩემმა ნათესავმა ყმაწვილმა — ოჰ! ეს თუ ტყუილი მოვიგონო, ღმერთმა თქვენი მოძულებული მომკლას; — იმე! დამიქინა და დამიქინა, მაინცა და მაინც კატა ღორიაო!!! ბიჭო, კატა ღორი რავა იქნება, მეთქი, რომ უთხარი, იმან გადარეულივით გაიცინა და მითხრა: მაგას ვინ მოგახსენებსო? — გადაფიცა ისე ურცხვად და მერე კიდე წამოსცდა და მითხრა; რომ შევაზახე და კიდევ დაფიცა..... ეჰ, დამეხსენით, ნულარ გამახსენებთ მის ნათქვამებს, რას არ წაეპოტინა, რას არ მიედვ მოედვა: მადლობა ღმერთსო, ახლა მაინც გლეხებმა თქვენი «დამოკლეს» ხრმალი დაგიმტვრიეს ბატონებსო და თქვენი უსამართლობა რომ აწვათ თავზე, ეშველათო. რას ამბობ, რომელი ჩვენი და მოჰკლესო და ხრმალი როდის დაგვიმტვრიეს, მეთქი! ის გადაბრუნდა სიცილით: ასე არ მითქვამსო! მითხრა. — სულელი, სულელი!... მერე ილორის წმიდა გიორგის გიორგობას სასწაულით რომ ხარი მოჰყავს, ის იქ რომ მეხატურია, მისი ხრიკი არისო, თვარა არ შეიძლებაო, რა ვიცი, რა არ თქვა?.. ქალებსაც ჩვენგან აწი პრაწი და გაშვება უნდათო, თვარა თქვენ მათთვის ჭირანი ხართო, ამ ნაირად მოგვთხარა ყოვლისფრად!..

აქ შესწრფვება ჩვენი ბერი-კაცი უცებ და უფრო დახეულის და ფრთხალის ხმით ჩაილაპარაკებს გაოცებული: — ჰუი, დასწყევლოს ღმერთმა, მგელს ახსენებდნენ და კარზედ იდგაო — ეს არაკები სულ მართალია: შეხედეთ, ის აგერ არ მოდის!? - მერე, ცოტა რომ მობრუნდება, დაუმატებს: — აბა ახლა ერთი ამას ვუყუროთ, ბევრს კაი რამეს არ გვეტყვის სანუგეშოს? ისემც ღმერთი უშველის! მაგრამ რომ არავის ეკარება, ჩვენთან რავა მოვა?..... სსუუ! კი მოდის, კი ჩვენსკენ; რავა მოისოლება, და რა რჯული კოთხოსავით ქუდი ახურავს! აბა ამ სიცხეში ხელ-ჯაგვები რად უნდა, ან ბებერივით სათვალე რომ წამოუცვამს...აბა, შეხედეთ, ყოვლისფრით უხიაკი თუ არ არის!?....

მგზრი-კორრესპონდენტი

ნოემბრის დამლევს.

უფ. ზაქარიძე იწერება ქართლიდამ, რომ ამ იანვრის დამდეგამდი იქ ძლიერ თბილი დღეები იყოვო ასე, რომ ზოგიერთი ხეხილის ხეები აყვავდაო, მაგ. ტყემლისა. იანვრის ოთხიდამ კი დაწყებულა თოვლი და შემდეგ წვიმაც. მთებზე დიდი თოვლი სძევსო და ეს გარემოება დიდ იმედს აძლევს ქართლელ გლეხებს, რომ გაზაფხულზე წყალი უხვად იქნება და ისეთს გაჭირვებას არ გამოივლიან უწყლობისაგან მემამულეები, როგორც შარშან ზაფხულს გამოიარესო.

***

გაზ. «კავკაზი» გვაცნობებს, ვითომც ახალი კამპანია სდგებაო ჩვენში, რომელსაც უნდა, რომ ალაზნის მარჯვენა მხრის მინდვრებში არხები გაიყვანოს. ამ არხებით კამპანიას უნდა მორწყას კახეთის საუკეთესო ნაწილი, ე. ი. თითქმის მთელი თელავის უეზდი და სილნალის უეზდის ერთი ნაწილი.

ეს ამბავი, თუ მართალი გამოდგა, ძლიერ სასიამოვნო უნდა იყოს კახეთისათვის. სასურველია მხოლოთ, რომ ეს საქმე პატიოსან კაცებს ეთავოს, რომელთაც მარტო თავის სარგებლობა არ ჰქონოდესთ მხედველობაში, არამედ ცოტაოდენი ყურადღება მაინც ხალ-

ხის საჭიროებისათვისაც მიექციოსთ. თუ მოხერხებითა და მარჯვეთ წაიყვანეს საქმე მაშინ იმედია, თვით კახეთის მცხოვრებლებიც მონაწილეობას მიიღებენ ამ არხების გაყვანაში.

* * *

პირველი ფებერვლიდამ, მმართებლობის განკარგულებით, გაუქმდება შემდეგი სტანციები: ნიჩბისისა, ახალქალაქისა, გორისა და ორგორებისა.

* * *

მმართებლობის განკარგულებით, გაიყიდა ის ნაწილები ყარაიაზის მინდვრისა, რომლებშიაც არხები იყო გაყვანილი. ამბობენ, რომ ძალიან ბევრი მუშტრები ყოფილა და თითქმის ყველა ნაწილები კერძო პირებს უყიდნიათო.

სამეცნიერო ნაწილი

ვოლკანი

ვოლკანს ან ცეცხლ მქშინავს მთებს ეძახიან ისეთს მაღლობს, რომელის წვერიც ქვევრსავით პირ ახდილია და შიგ რომ ჩახედო, ძალიან ჩაღრმევებულია. ამ უძირო ქვევრს კედლები დახეთქილი აქვს და როცა იქიდგან ამოიქუხებს გამდნარი მთის ძირი, ანუ მიწის გული, რომე ისაც ჰქვია ლავა და გამდნარ მდინარესავით გადმოდის ცეცხლ მქშინავ მთის პირიდგან, ამისთანა მთის კედლები ისეთ გვარ კლდეებისგან შესდგება, რომელსაც სახელათ ჰქვია ვულკანური წყობა ეს ვულკანური წყობა ზოგგან სვეტებივით არის ერთმანეთზე აყუდებული და ზოგან თლებსავით არის ერთი მეორეზე დადებული. ამ ვულკანურს წყობას, ზოგს ბაზალტურს უწოდებენ და ზოგს ტრახიტურს. ჩვენს დროში ვოლკანები ორნაირათ მოქმედობენ: ან მთის წვერი ამოიხეთქებს და ამოისვრის მიწის ნადულს, ან არა და მარტო მიწის ქერქს შეანძრევს იმის მახლობლათ, სადაც ცეცხლი მქშინავი მთები ანუ ვოლკანებია. სანამ ვოლკანის პირი ამოიქუხებდეს, რამდენიმე წლის წინათ შეიტყობა ეს მიწის ძვრით ვოლკანის მახლობლათ.

თვითონ ვოლკანის ძირი თანდათან ამოიბერება და შემდეგ ვოლკანის პირიდგან ამოვა შავი კომლი, და მიიღებს უზარ მაზარ ცაცხვის სახეს. დედამიწის ზურგზე ზოგი ვოლკანია, რომ შავ-კომლს პირიდგან მხოლოდ იმის წინათ უშვებს, როცა ამოიქუხებს, და ზოგია, რომ სულ მუდამ კომლი ამოდის. მხოლოდ როცა ნადულის ანუ ლავის ამოსროლა უნდა, მაშინ კომლი უფრო გასქელდება და მთის ქექა-ქუხილიც ატყდება, მაგრამ სანამ ნადული გადმოდინდებოდეს ვოლკანის პირზე, მთიდგან მოისმის გრგვინვა; ამ ხმაურობას მოჰყვება თვითონ ნიადაგის ძრევა მთის ფერდებზე და ბოლოს თითქმის მახლობლათ მდებარე სახლების კედლები კიდეც გაირღვევა ხოლმე. იმისაგან ქვები ვოლკანზე იწყებს სქდომას, დიდი ნაპერწკლები სცვივიან ყოველ მხრივ და ბოლოს თვითონ ნადულიც ამოიქუხებს. მიწა მთის ფერდებზე ან მთის ძირში სქდება და ნაპრიალები ნადულით ივსებიან. ამ დროს კომლი ძალიან სქელდება და მთის ნახეთქებიდგან და ვოლკანის პირებიდგან საშინელი შიშინით და ხმით ამოდის ეს დიდი კომლი და წყლის ოხშივარი, იმდენათ აბნელებს გარემოს, რომ მზე აღარ იხედება, გარემო ალაგები საშინლათ ბნელდება. ოხშივარს თან ამოაქვს მიწის ნაწილები ჰაერში, მერე თვითონ ოხშივარი რომ გაცივდება, წყლის წვეთებათ გადაიქცევა და კუკურს წვიმას დაუშვებს ძირს, ამასთანავე ეყრება გარემოს საშინელი მტვერი და თან ქვებიცა, აგრეთვე აუტანელი გოგირდის სუნი მოიცავს ჰაერს, სუნთქვა უჭირს კაცს და ბევრი ცხოველიც კვდება ამითი და იმითიც რომ წვიმის წვეთებში სხვა-და-სხვა ძმარეულია გახსნილი. ამ დროს ქვედა კომლიანი ღრუბლები მთის ყელისა წითლად ანათლებს; მაგრამ იმისგამო კიარა, ვითომც იწოდეს რამე. არა ამ ღრუბელში, როგორც სარკეში, ისე იხედება გალხვალი მიწის ნადული, რომელიც ის არის გადმოდინდება მთის პირიდგან თუ ყელიდგან. ეს ცეცხლის ფრათ შეღებილი ღრუბელი თანდათან ჰქრება, რაკი ნადული ზევით ამოდის. ამ დროს მთიდგან გრგვინვა თანდათან უფრო ისმის ჯურღმულიდგან ვარდება მაღლა გახურებული თუ გალხვალი ქვები და მაშხალასავით გრძელს ნათელს არშიას სტოვებს ხოლმე ცაზე. ამავე დროს გრგვინვა კიდევ ძლიერდება...

იმავე დროს უფრო გახშირებით მოისმის გრგვინვა მიწიდგან; კომლი და ცეცხლი მთის წვერიდგან მატულობს, თან და თან უფრო ბევრ გახურებულის და გალხვალის ქვებს ამოისვრის მთის ყელიდგან; ესენი ერთმანეთს ჰხვდებიან ჰაერში და სკდებიან ყუმბარებსავით. მაშინ მიწაც სქდება მთის გარემოს და საშინლათ თრთის. ყველაზე უფრო ეს მიწის ძრწოლა აშინებს კაცებს. ისინი სტოვებენ თავიანთ სახლკარს და მირბიან საითაც ღმერთი აფიქრებინებს იმათ შველას. მაგრამ ესევე მოვლენა გვიმტკიცებს, რომ უბედურება მალე თავდება. მთის პირს გარემო გადმოდის ქაფსავით მიწის ნადული გავარვარებული როგორც ცეცხლის ალი და სწვავს და ცეცხლს უკიდებს, რასაც კი ხვდება. ამ ნაკადულებს შემდეგ გამოდის დიდი ცეცხლის მდინარე ნადულისა. ეს ნადული უცბათ გადმოდის მთიდგან; ამდროს მთის ძირში გამსკდარ მიწიდგანაც ამოასხამს შადრევანსავით და მოჰფენს გარემოს ცეცხლის მორევით. ამ მორევმა დაფარა ერთ დროს ორი დიდი ქალაქი გერკულანუმი და პომპეი სამოცდაცამეტს წელს ქრისტეს მოსვლის შემდეგ, და ათას შვიდასი წლის განმავლობაში ამ გაცივებულ მიწის ნადულის ქვეშ იმყოფებოდა მთელი სოფლები, ქალაქები და მთის გარემო ადგილები. გალხვალი ნადული გაცივებულა, ისევ ნაყოფიერ მიწის ნიადაგათ შექნილა, ხეები ამოსულან, ხალხი აშენებულა და ვინ იფიქრებს, რომ თორმეტ ცამეტ საჟენზე ძირს ძველი განათლებული წყება ცხოვრებისა დაუტანია ამავე მიწის ნადულსა. ჩვენს საუკუნეში ამ ოცი წლის წინათ მოსთხარეს მიწა, საცა რომაელების ძლიერებ

დროს დაილუპა დიდი და მშვენიერი ქალაქები გერკულანუმი და პომპეი. გამოჩნდა მართლაც ძვირფასი სამკაულები, სახლების ნანგრევები, ქუჩები, მაშინდელი აბანოები, თეატრები და შინაური ჭურჭლები.

რისგან ან რა მიზეზით წარმოსდგება ვოლკანები, ჯერ ვერ აუხსნიათ ზედ მიწევნით. მეცნიერები სხვა და სხვა ნაირათ სჯიან ამ საგანზე: ყველა კი წყლის მიზეზით ჰხანის ამ მოვლენას. მიწის შესწავლული მეცნიერები თითქმის ყველანი ამბობენ რომ, მიწის შუაგული სიცხისაგან გალხვალიაო მიწა და დროსა და დროს გამოშვებიათ ამოანთხევსო თავის გალხვალ გულს მიწის პირადო. რა მიზეზითაც ნადუღი ამოინთხევა, მუდამ კი არ მოქმედებს, რადგან მუდამ რომ მოქმედებდეს, მაშინ უეჭველათ სადმე ცეცხლის მდინარეც შესაძლებელი იქნებოდა, მაგრამ ეს ნადუღი იშვიათად და მხოლოდ ალაგ ალაგ ამოინთხევა ხოლმე რომელიმე მთის ყელიდგან, რომელსაც ჩვენ ცეცხლ-მქშინავ მთებს ვეძახით. მიწიდგან ამ გალხვალი გულის ამოთხევა მარტო სიცხისა და ცეცხლის ბრალი არ უნდა იყოს; ამ საქმეში წყალიც უნდა ერიოს. უსათუოდ წყალი ჩადის მიწის გულში და იქ, საცა გული გალხვალია, მიიღებს გალხვალი მიწის სითბოს, გადიქცევა ოხშივარათ და ერევა ნადულში; რაც უფრო გაცხელდება ოხშივარი, ისე უფრო დიდს ალაგს იჭერს და საშინელი სიმძლავრით აწევება ზევით. და სადაც ცეცხლ მქშინავი მთა არი და ყელი გახვრეტილია, იქ იმ ალაგას რასაკვირველია ქვეშიდგან ამოაწევება და მიწის ნადულს ამოანთხევს. ამ დროს ქვეშიდგან მოწოლილი ოხშივრის ძალა თვითონ მთას ფერდებიცა და მახლობელი გარემოც საშინლათ თრთის. ამას ცოტათ ისიც ამტკიცებს, რომ ამონთხეულ მიწის ნადულში ჰპოებენ სხვა-და-სხვა ნივთიერებას, რომელიც ზღვის წყალშია გახსნილი. ზღვის წყალი რომ თანდათან მიწაში იჟვენება, დაუწევს მიწის გულს, ამის დასამტკიცებლათ ისიც კმარა, რომ მომეტებული ნაწილი ცეცხლ მქშინავი მთებისა ზღვებისა და უკიანის მახლობლათ მდებარებენ. აქვე ამ მთებიდგან თითქმის მუდამ ამოდის მაღლით ბევრი ოხშივარი. თუ ზღვიდგან არ იყო მიწის გულში ჩადენილი წყალი, საიდან გაჩნდებოდა იქ ამდენი წყლის ოხშივარი?

გლეხებისთვის საჭირო რამ ვაჭრობაში

ვისგან რჩება ქალაქის ხალხი თუ არ გლეხებისაგან. ფქვილი, ყველი, ერბო, მატყლი, ბამბა, აბრეშუმი, ხარ-კამბეჩი, ცხვარი, შეშა, ნახშირი ყველა გლეხს ჩამოაქვს. საჭმელ-სასმელისა და ტანისამოსისათვის რაც კი ეჭირება კაცსა, ყველა სოფლიდგან ჩამოდის, ყველა გლეხმა უნდა ჩამოიტანოს და ჩამოზიდოს. რა ეშველებოდა ქალაქის ხალხსა რომ სოფელს არ ჩამოეტანა? ქალაქის ხალხი დარჩებოდა ცარიელი. მეორეს მხრით ქალაქიც სოფლისთვის საჭიროა იმითი, რომ ქალაქში გლეხი ბევრ საჭირო საქონელსა ყიდულობს, და იქიდგან თავისთვის მოსახმარებელი ფული გააქვს.—

ამ გლეხისა და მოქალაქის ვაჭრობაში ვინ უფრო გაოსტატებულია? ვინ არ იცის, ქალაქის ხალხი უფრო გამოცდილია, უფრო ხერხიანია. და გამოქნილია, სანამ გლეხი. გლეხს კაცს უფრო ცოტა უნახამს ქვეყანაზე, ცოტა ადგილი მოუვლია, ცოტა ხალხი უნახამს. ქალაქის კაცს უფრო მოვლილი აქვს ქვეყნები, უფრო სხვა და სხვა ბევრი საქმეები უნახავს, სხვა და სხვა ამბავი გაუგონია, ამის გამო ქალაქის კაცი გამოცდილია და ხერხიანია. აი ამ მიზეზით ქალაქში ვაჭრობაში სოფლის გლეხი-კაცი უფრო ცოტასა სარგებლობს, ვირემც ქალაქის კაცი.

ქალაქში ბევრი უსვინიდისო კაცია, რომ არაფერს არ დასდევს, ოღონდაც თავისი სარგებლობა ნახოს და თუ შეუძლია ტყუებით ნაკლებ ფასათ იყიდოს გლეხის ნამუშავარი და ნაჭირნახულევი.

ამისა გამოთ ხშირათა ნახავს კაცი რომ, ვთქვათ გლეხ-კაცს ჩამოუტანია ერბო, ხვდება ქალაქის კაცი და ევაჭრება:

— როგორ, ჩემო ძმაო, ლიტრა?

— ლიტრა თორმეტი აბაზია, უფასებს გლეხი ქალაქის მყიდველსა. ქალაქის მყიდველი ჯერ ევაჭრება ეგება ნაკლებ მამცესო. ვთქვათ ცხრა აბაზათ მორიგდნენ. მიჰყავს ქალაქის კაცსა გლეხი და სწონს ორ ლიტრასა და გარიგებულ ფულს ერთი ლიტრისას კი აძლევს. გლეხმა არ იცის წონის ანგარიში და მშვიდობიანათ ფულს ართმევს და თავის გზაზე მიდის. ფიქრში არც კი მოსდის, რომ ნახევარი ლუკმა მუქთათ წაართვეს იმასა და იმის ცოლ-შვილსა.

აი კიდევ ერთი ნახული ამბავი. ვთქვათ ბაყლებზე ჰყიდის გლეხი ერთ საპალნე ლანძილს; ფასზე მითომ რიგდებიან. ჩამოახდევინებენ გლეხსა საპალნესა და ცლას დაუწყებენ. ამ დროს ფულს აძლევენ, მაგრამ ნაკლებს. გლეხს ვერც წონა შეუტყვია, ვერც ფული უანგარიშნია. როგორც არის იღებს ფულსა და მიდის. გზაზე ხედამს ქალაქში მდგომ მეგობარს თავის სოფლის კაცს და ეხვეწება, აბა მიანგარიშეო. ანგარიშობს ეს კაცი დახედამს რომ მოუტყუებიათ. ორნივე მიდიან ბაყალთან, რომ დაკლებული ფული გამოართვან. ბაყალი უარზეა. როგორც გავრიგდით, ფულიც მოგეცი და მოვრჩიო. ამაზე ლაპარაკი და შფოთი ხდება, ხალხი თავს ეხვევათ. გლეხი არ ეშვება და თავისსა თხოულობს, ბოლოს ბაყალი ფულს ართმევს სთვლის ხომ ჩემი მიცემულისთვის არა დაუკლია რაო და დახლში ინახამს. ლანძილს, იღებს და თაბხებიდამ ქუჩაში უყრის. გლეხს აკრეფა უნდა, მაგრამ ამ დროს ლ'ომკები და ურმები დაიარება და სულ აფუჭებს და ნახევრის ნახევარს ძლივსა ჰკრეფამს. მიდის ყელგადაგდებული გლეხი.

რამდენი ამისთანა ამბები ხდება მუდამ დღე, ვინ მოსთვლის, ზღვის ოდენა ქალაქში რამდენი ტყუებაა წონაში, თვლაში, ზომაში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რწყვაში, რა თვალი ნახავ!? ან რა პირი იტ-ყვის.

ახლა რა ღონის ძიება უნდა იხმაროს გლეხმა კაცმა, რომ ამ უსვინდისობას ხელი შეუკრას და ძალა წაართვას. ერთი ღონის ძიების მეტი არ არის ეხლა, რომ რომელ სოფელშიაც შკოლაა, იმ შკოლებში მთელის სოფლის ხარჯით გააჩინონ სასწორი და სასწერის ქვები, გირვანქები, ლიტრები, საჟენი, თუნგი, ედრა, პურის საწყაო და გლეხის შვილებს აჩვენონ და ასწავლონ. თუ სასწავლებელი არ არის, სოფლის სასამართლოსთან შეინახონ და კვირა დღეობით გლეხებს აჩვენონ და გააშინჯონ დასახსომებლათ. სოფელში თითო კაცი როგორ არ გამოჩნდება, რომ გაგებინოს და ასწავლოს ამების ცოდნა და სოფელს ეს სიკეთე უყოს. სულ რომ ცოტა ვიანგარიშოთ გლეხის უცოდნელობით მეათედი ნაწილი მაინც სოფელს ეკარგება. აბა ახლა იფიქრეთ, ის სასწერის, საწყაოს და საზომის ხარჯი სოფლისათვის რა უნდა გახდეს იმ ზიანთან, რაც მუდამ დღე და მუდამ წელს მოსდის.

ბ.

განცხადებები

ამა 1873 წ. ხელის-მოწერა

«დროებაზე»

მიიღება თფილისში—«დროების» რედაქციის კანტორაში, ხანის ქუჩაზე, ბებუთოვის სახლებში.

ქუთაისში—გერასიმე კალანდარიშვილთან და ს. მესხთან.

შეზღვებში «დროების» აგენტებთან.

ხელ-მოსაწერი ფასი

	გაგზავნით.		გაუგზავნ.	
	მან.	კაპ.	მან.	კაპ.
ერთის წლისა —	6	»	5	»
ნახევარის წლისა	3	»	2	50
სამის თვისა —	1	75	1	50
ერთის თვისა —	»	60	»	50

ახალ ხელის-მომწერლებს უმორჩილესად ვთხოვთ, თავიანთი ადრესი გარკვევით დაწერილი გამოგვიგზავნონ და აგრეთვე შეგვატყობინონ ყოველთვის, როდესაც საცხოვრებელ ადგილს გამოიცვლიან.

ვთხოვთ აგრეთვე, რომ ხელის-მოწერის ხვედრი ფული გაზეთის დაბარებისა-თანავე გამოგვიგზავნონ.

ადვოკატი

თავადი რაფიელ დავითის-ძე ერისთავი მიიღებს ყოველდღე ყოველგვარს სადაო საქმეებს საწარმოებლათ მომრიგებელ მოსამართლეებთან და საზოგადო სასამართლოებში ქალაქს თფილისში და გარეშე ქალაქებშიაც.—აგრეთვე კისრულობს დაცვასა სიმართლეთა ბრალდებულთა სისხლის სამართალის საქმეებში.

ვისაც ჰსურს მისი მიწვევა ქალაქს გარეშე, უნდა აცნობოს რაოდენათაც შესაძლო არს წინათვე, ამ ადრესით: ქალაქს თფილისში, ირაკლიევსკის ქუჩაში, ვასილი არტაზოვის სახლებში. Въ Тифлисъ, на Ираклiевской улицѣ, домъ Василія Артазова).

ფასი შრომისა—დამტკიცებულის ტაქციით, ანუ ურთიერთ შორის შეთანხმებით.

1873 წლის 1 იანვრიდამ სომხური გაზეთი «მშაკ» წელიწადში შვიდი მანეთის მაგიერათ ხუთ მანეთად ეღირება. ნახევარი წლის ფასი სამი მანეთია.

ხელის-მოწერა მიიღება გაზეთის-«მშაკის» რედაქციაში, რომელიც ყოველ-დღე გახსნილია დილის 9—11-მდი და საღამოს 5—7-მდი.

გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ: *Въ Тифлисъ. Въ Редакцію газеты «МШАКЪ»*

ამ გაზეთში იბეჭდება განცხადებაები: სომხურს, რუსულს, ქართულს, ფრანცუზულს, ნემეცურს და სხვა ეროპიულს ენებზედ. განცხადების ფასი ათ ჩვეულებრივ ასოზე 1 კაპეიკია.

ე. ვ. მამაცოვისა იყვანს შაგირდათ ქალებს და მუქთად ასწავლის ქალების ფეხსაცმელის კერვასა და წერა-კითხვას. დაწერილებითი პირობის შესატყობელად მსურველს შემდეგი ადრესით შეუძლია მიმართოს: კუკიაში, რეუტის ქუჩაზე, ფილიპოვის სახლებში.

იყიდება თფილისის წიგნის მაღაზიებში

და გ. წერეთლის სტამბაში წიგნი:

თაროგმანნი

ხალმო ხალითხვათ თხზულებათა

გამოტემული

ქართველი ქალებისაგან

წიგნი პირველი

ფასი ეოველგან ორი აბაზი

ეს წიგნები იყიდება:

ქუთაისში: გუბერნიის სტამბაში.

გორში—კნ. ნინა ერისთავისას

ახალციხეს—ანნა მუსხელოვისას

სიღნაღს—რაჟდენ ციციშვილთან

თელავს—ლევან ჯანდიერიშვილთან

ოზურგეთს—მელიტონ ღოღობერიძეს თან.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 29 Декабря 1872 г. გ. წერეთლის და ამხ. (დუბელირის) სტამბა. რედ. და გამომცემელი გ. წერეთელი